პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

№ 167 (3144) 28 1966 წ. აგვისტო, კვირა. ფასი 3 კაპ.

საქართველოს სსრ სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Союза спортивных обществ и организаций Грузинской ССР и республиканского Совета профсоюзов

გამოცემის 23-ე წელი

## პარტიისა და მთავრობის ზრუნვის ახალი დადასტურება

ჩვენში, ალბათ, არ მოიძებნება ფიზკულტურისა და სპორტის არც ერთი მუშაკი, რომელიც სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს ახალმა დადგენილებამ არ აღაფრთოვანა.

ჩვენ მუდამ გვმატებდა ძალას კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის ყოველდღიური ზრუნვა, მაგრამ ახალ დადგენილებას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ჩვენს ქვეყანაში ფიზკულტურისა და სპორტის შემდგომი აღმავლობისთვის, საბჭოთა ახალგაზრდობის კარგი ფიზიკური წრთობისთვის.

ამ დადგენილებით, დიდი ყურადღება უნდა მიექცეს ახალი სპორტული ბაზების მშენებლობის საქმეს. ეს კი ნიშნავს ახალ წარმატებას, ახალ ჩემპიონებსა და რეკორდსმენებს.

ნათქვამია, რომ მომავალში ფიზკულტურა და სპორტი კიდევ უფრო ფართოდ უნდა დაინერგოს ახალგაზრდებს შორის. ეს კი ნიშნავს, რომ ჩვენი ქვეყნის ყოველი ახალგაზრდა, კომუნიზმის მშენებელი, ყოველი ადამიანი როგორც მორალურად, ისე ფიზიკურად მზად იქნება ყოველი სიძნელის გადასალახავად, სოციალისტური სამშობლოს დასაცავად.

ეს დადგენილება — „ფიზიკური კულტურისა და სპორტის შემდგომი განვითარების ღონისძიებათა შესახებ" — კიდევ ერთი ნათელი დადასტურებაა იმისა, თუ რა დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ ჩვენი პარტია და მთავრობა ფიზკულტურასა და სპორტს, როგორც საბჭოთა ადამიანის კომუნისტური აღზრდის უმნიშვნელოვანეს საშუალებას.

ბ. პაიჭაძე,
სპორტის დამსახურებული ოსტატი.



## ... საათი...

◆ რ ო მ ი, 27 აგვისტო. იტალიის ფეხბურთელთა ეროვნული ნაკრების 9 მოთამაშის (პასკუტის, ბულგარელის, ლოდეტის, ფაკეტის, მაცოლას, რივერასა და სხვ.) განცხადება ბომბის აფეთქებასავით გაისმა. იტალიის თითქმის ყველა დღევანდელი გაზეთი იუწყება, რომ ამ ფეხბურთელების მტკიცებით, ინგლისის მსოფლიო პირველობაზე სსრ კავშირისა და კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის გუნდებთან მატჩების წინ მათ უკეთებდნენ ნემსებს (ჯერჯერობით სიტყვა დოპინგს არ ახსენებენ), რომლებმაც ორგანიზმის აღგზნების ნაცვლად, საწინააღმდეგო ეფექტი გამოიწვია.





## მესამე ვის დარჩება?

უტრეხტის [illegible] საერთო გუნდურ [illegible] პრიზი თამაშდება, რომელთაგან 2 სსრ კავშირის სპორტსმენებმა ჰოლანდიის ამ ქალაქში მიმდინარე ევროპული ჩემპიონატის დამთავრებამდე გაინაღდეს. 25 აგვისტოს მოცურავე ვაჟთა შეჯიბრებაში მოპოვებული წარმატების შემდეგ ჩვენი ქვეყნის სპორტსმენებმა 129 ქულა მოაგროვეს და იმდენად გაასწრეს უახლოეს მეტოქეს — გდრ-ის ნაკრებს, რომ დარჩენილი გაცურვები ვერავითარ გავლენას მოახდენს თასის ბედზე. იგი მესამედ გახდა საბჭოთა გუნდის საკუთრება.

რაც შეეხება მეორე თასს, რომელიც წყალში ხტომის ინგლისის ფედერაციამ ამ სახეობაში კონტინენტის პირველი პრეზიდენტის თ. ფერნის პატივსაცემად დააწესა და რომელსაც ორჯერ ფლობდნენ სსრ კავშირის ათლეტები (1962 წელში თასი გდრ-მ მოიპოვა), ისევ მოსკოვში დაბრუნდება, ვინაიდან წყალში ხტომის პროგრამის ბოლო სახეობის წინ ჩვენებს 46 ქულა აქვთ, II ადგილზე მყოფ გდრ-ის ნაკრებს კი მხოლოდ — 16.

წყალში მხტომელები გუშინ ბოლო ვარჯიშს ასრულებდნენ — 10-მეტრიანი ტრამპლინიდან ხტებოდნენ. 4 წინასწარი ნახტომის მერე დაწინაურდა ტოკიოს ოლიმპიადის ვერცხლის პრიზიორი, ევროპის თასის მფლობელი, 18 წლის იტალიელი კ. დიბიასი — 262,65 ქულა. ევროპის ორგზის ჩემპიონი, სანდერლენდელი კომერსანტი ბ. ფელპსი მას 3,30 ქულით ჩამორჩა. III ადგილზე გავიდა ინგლისელი ავიამექანიკოსი დ. პრიატლი (255,7)) და მხოლოდ IV იყო ერევნელი ვ. სარიბეკიანი — 255,10. მისი თანაქალაქელი, სსრ კავშირის თასის მფლობელი ვ. კუზნეცოვი IX ადგილზე აღმოჩნდა — 239,70.

26 აგვისტოს კვლავ ისახელეს თავი მოცურავეებმა. 4×100 მეტრზე თავისუფალი სტილით ესტაფეტაში სსრ კავშირის ქალთა გუნდმა წინასწარ გაცურვაში აჩვენა 4.13,8 და 0,2 წამით გააუმჯობესა საკავშირო რეკორდი. 400 მეტრზე კომბინირებულ ცურვაში წინასწარ ასპარეზობისას ლ. კნიაზევამ სსრ კავშირის ახალი რეკორდი დაამყარა — 5.30,7. ლვოველმა ჭაბუკმა ი. გრომაკმა ბევრი გამოცდილი სპორტსმენი „დაჩაგრა" და 200 მეტრზე ზურგზე ცურვაში (2.12,9) ოქროს მედალს დაეპატრონა. 200 მეტრზე ბრასით ცურვის ფინალში გავიდნენ ლვოველი გ. პროკოპენკო და თბილისელი ა. ტუტაკაევი. აქ კი იმარჯვა პროკოპენკომ და ოქროს მედალიც დაისაკუთრა. ვაჟთა ესტაფეტა 4×100 მეტრზე თავისუფალი სტილით მოიგეს გდრ-ის ათლეტებმა — 3.36,8. ეს შედეგი კონტინენტის ახალი რეკორდია.

დამთავრდა წყალბურთელთა ნახევარფინალური მატჩები. საბჭოთა ნაკრები შეხვდა იტალიელებს. ჩვენებმა თამაში მეტისმეტად დინჯად დაიწყეს და პირველი პერიოდი წააგეს — 0:1. შემდეგ მათ ზედიზედ 3 ბურთი გაიტანეს (ბ. გრიშინი, ვ. პუშკარიოვი, ლ. ოსიპოვი), მაგრამ საბოლოოდ მაინც ფრეს დასჯერდნენ — 3:3.

სხვა შეხვედრათა შედეგები ასეთია: გდრ — უნგრეთი 4:4, იუგოსლავია — ჰოლანდია 3:1, რუმინეთი — გფრ 5:0. ფინალში გავიდნენ გდრ („ოქროს" 2 ქულით), სსრ კავშირი და იტალია (თითო ქულით), აგრეთვე იუგოსლავია.

• • •

**ს უ რ ა თ ე ბ ზ ე:** ზევით — კონტინენტის ჩემპიონი ტრამპლინიდან ხტომაში, მოსკოველი მ. საფონოვი ასპარეზობისას; ქვევით მარცხნივ — ტურნირის პრიზიორები 200 მეტრზე ბრასით ცურვაში — ი. პოზდნიაკოვა (II ადგილი), გ. პროზუმენშჩიკოვა (I ადგილი) და ინგლისელი ჯ. სლეტერი (III ადგილი); მარჯვნივ — ევროპის პირველობის პრიზიორები 200 მეტრზე ზურგზე ცურვაში — ჰ. მონცო (ესპანეთი, II ადგილი), ი. გრომაკი (I ადგილი) და ი. როტერი (გდრ, II ადგილი).

ტელეფოტო აპ-საკდესისა.

## ჩვენს მეზობელ რესპუბლიკებში

◆ **მთელი წლის მანძილზე**

ბაქოელ მენავთობე სპორტსმენებს ახლახან გადაეცათ მესამე, 25-მეტრიანი ღია საცურაო აუზი ლენინური კომკავშირის სახელობის სპორტულ ბაზაზე. იგი მთელი წლის მანძილზე იმუშავებს, ვინაიდან წყალი ზამთარშიც თბება საგანგებო დანადგარების საშუალებით.

ეს აუზი, რომელიც აზერბაიჯანში რიგით მეთექვსმეტეა, მოცურავეებმა შეფისგან — „ლენინნეფტის" სარეწაო სამმართველოსგან მიიღეს საჩუქრად.

როგორც საკდესის კორესპონდენტს სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირის რესპუბლიკურ საბჭოში უთხრეს, აზერბაიჯანელ სპორტის მოყვარულთა განკარგულებაში ამჟამად 7 ათასამდე სხვადასხვა სპორტული ნაგებობაა.

◆ **დონეცკის „ლუჟნიკი"**

მეშახტეთა დედაქალაქის სპორტის მოყვარულებმა კარგი საჩუქარი მიიღეს თავიანთი დღესასწაულისთვის, — დამთავრდა ქალაქის ცენტრალური სტადიონის „შახტიორის" რეკონსტრუქცია. ახლა მისი ტრიბუნები 50 ათასამდე მაყურებელს დაიტევს. ტრიბუნების ქვეშ განლაგდება ახალი სპორტული ბაზები, საცურაო აუზი, სასტუმროები სპორტსმენებისთვის. აქვე გაიხსნება დონბასის სპორტული დიდების მუზეუმი. სტადიონის გვერდით უკვე დაიწყო დახურული მანეჟის მშენებლობა ზამთარში მძლეოსნური შეჯიბრებებისთვის.

მეშახტის დღისთვის სპორტულ ახალსახლობას იზეიმებენ დობროპოლიეშიც, სადაც უკვე გადაეცა საექსპლოატაციოდ სპორტის ახალი სასახლე. ამჟამად მთელს ოლქში 26 მნიშვნელოვანი სპორტული ბაზა იგება. შახტიორსკში შენდება სტადიონი 70 ათასი მაყურებლისთვის, ერთად აიგება სამი დიდი დარბაზი შეჯიბრებებისა და საწვრთნელი მეცადინეობისთვის. გორლოვკაში შენდება დიდი სპორტული კომპლექსი საცურაო აუზით. უკვე დამტკიცდა კონსტანტინოვკის სპორტის სასახლის პროექტი. ახლო მომავალში განზრახულია სხვა სპორტული ბაზების აგებაც.

**სპორტული კალეიდოსკოპი**

## 8 გუნდი

სსრ კავშირის თასის გათამაშებას ფეხბურთში მხოლოდ 8 გუნდი შემორჩა. მეოთხედფინალებში ერთმანეთს ხვდებიან: „ტორპედო" (მოსკოვი) — „კაირატი" (ალმა-ათა), „ჩერნომორეცი" (ოდესა) — „ურალმაში" (სვერდლოვსკი), „შინიკი" (იაროსლავლი) — „დინამო" (მინსკი), „დინამო" (კიევი) — „სპარტაკი" (მოსკოვი). თასზე მორიგი მატჩების ჩატარების ადგილსა და ვადებს ფეხბურთის საკავშირო ფედერაცია დაამტკიცებს მოგვიანებით.

**ფეხბურთი**

# მრავალღირსებიან რაინდთა ფინიში

ხუთჭიდელებს სხვანაირად მრავალღირსებიან რაინდებს უწოდებენ. მართლაც, სპორტის ამ შესანიშნავი სახეობის წარმომადგენელი უნდა ფლობდეს ყოველივე იმას, რასაც შუასაუკუნეების რაინდთა საბრძოლო მომზადება მოითხოვდა.

თბილისში, რესპუბლიკის პირად-გუნდური შეჯიბრების მეოთხე დღეს, ჭაბუკი ხუთჭიდელები მძლეოსნურ კროსში ასპარეზობდნენ. ტურნირის ლიდერს ა. შეროზიას ამჯერადაც არ ჰყავდა ტოლი: 4 კმ მან 14 წუთსა და 18 წამში გაირბინა. II ადგილზე გავიდა ი. ჯარაშნელი, ხოლო III — ა. მაროტი.

ხუთჭიდის ბოლო სახეობას — ცხენოსნურ კროსს — ლიდერის მდგომარეობაში ცვლილება არ შეუტანია. მართალია, შეროზიამ ვერ გაიმარჯვა ამ სახეობაში, მაგრამ მის მიერ მოპოვებული 1030 ქულა საკმარისი აღმოჩნდა საბოლოო გამარჯვებისათვის. სულ მან 4790 ქულა დააგროვა.

ცხენოსნურ კროსში ყველას აჯობა ტ. გოგოლაძემ — 1070 ქულა, II ადგილზე გავიდა ა. შეროზია, ხოლო III — ა. მაროტი. ხუთჭიდის ჯამში II ადგილი დაიკავა ა. მაროტიმ — 4498 ქულა, ხოლო III — ო. აბესაძემ — 4218.

გუნდური ადგილები ასე განაწილდა: 1. თბილისი I — 19806,5 ქულა, 2. თბილისი II — 17109 ქულა, 3. ქუთაისი — 14418 ქულა.

ასპარეზობა დაამთავრეს ჭაბუკმა სამჭიდელებმაც. ბოლოს ისინი მძლეოსნურ კროსში ეჯიბრებოდნენ ერთმანეთს. ტურნირის ლიდერს ა. კურდღელიას გამოცდილება არ ეყო და პირველობა ი. კლიმენკოს დაუთმო.

**ლ. ადეიშვილი,**
შეჯიბრების მთავარი მსაჯი.

# 16-დ ა ნ... ნ

გასულ პარასკევს თბილისსა და ფრუნზეში დაიწყო „ა" კლასის II ჯგუფის ფრენბურთელ ვაჟთა საკავშირო გათამაშების I წრის დასკვნითი ტურის მატჩები. შეჯიბრებაში მონაწილე 16 კოლექტივიდან ფინალურ ასპარეზობაში (კაიმართება სოჭში) მონაწილეობის უფლებას მხოლოდ 6 საუკეთესო მოიპოვებს. ისიც უნდა აღინიშნოს, რომ I წრის შედეგები გუნდებს ფინალში მიჰყვებათ და სწორედ ამიტომ ყოველი მატჩი უაღრესად დაძაბული ხასიათისაა.

მწვავე ბრძოლით აღინიშნა თბილისის ქვეჯგუფის ერთ-ერთი ლიდერის — ტალინის „კალევის" (მას უკვე 11 ქულა აქვს) შეხვედრა ლუგანსკის „ავანგარდთან" (9 ქულა). საათნახევრიანი ბრძოლის შემდეგ ესტონელებმა სძლიეს მეტოქეს — 3:2 (15:8, 11:15, 15:13, 12:15, 15:5).

გაცილებით ნაკლები ჯაფის დახარჯვა მოუხდა ქვეჯგუფის მეორე ლიდერს — მინსკის „ბურევესტნიკს" (11). მან ადვილად მოუგო ლენინგრადის „დინამოს" — 3:0 (15:10, 15:4, 15:8).

სუსტად თამაშობენ ერევნის დინამოელები. გუნდს ჯერ არც ერთი შეხვედრა არ მოუგია. იგი კვლავ დამარცხდა, ამჯერად, კიშინიოვის არმიელებთან — 1:3 (8:15, 12:15, 15:13, 6:15).

პირველი დღის ცენტრალური თამაში, ბუნებრივია, თბილისის „ბურევესტნიკისა" და ლენინგრადის სპარტაკელთა მატჩი იყო. თბილისელებს ამ შეხვედრამდე 9 ქულა ჰქონდათ, ლენინგრადელებს კი — ერთით ნაკლები.

ჩვენ არ ვიცით, როგორ წარიმართება ბრძოლა ფრუნზეში და რომელი გუნდები მოხვდებიან ფინალურ ექვსეულში, მაგრამ თუ გავიხსენებთ, რომ თვითეული ჯგუფიდან ფინალში 3 გუნდი გადის, მაშინ ნათელი [illegible] ჯგუფში უაღრესად დაძაბული მდგომარეობა შეიქმნა: ერთ ადგილზე (ტალინის „კალევი" და მინსკის „ბურევესტნიკი" 12-12 ქულით მიუწვდომელი არიან) პრეტენზიას აცხადებენ თბილისის „ბურევესტნიკი", ლენინგრადის „სპარტაკი" და ლუგანსკის „ავანგარდი". ამიტომაა, რომ ყოველი ქულა ახლა ძალიან ძვირად ფასობს.

... პირველ პარტიაში, როცა ანგარიში გახდა 8:7 მასპინძელთა სასარგებლოდ, მათ პირდაპირ საათივით ააწყეს თამაში და პარტია მოიგეს — 15:7. როგორც ჩანს, ამან თბილისელთა რიგებში თვითდამშვიდების სულისკვეთება გამოიწვია და უკვე მეორე პარტიაში ყველაფერი თავდაყირა დადგა. ახლა დაწინაურდნენ სტუმრები — 2:0, 4:0, 6:0, 8:0... თბილისელები გამოცოცხლდნენ, მაგრამ უკვე გვიან იყო. 15:11 — გაიმარჯვეს ლენინგრადელებმა. მესამე პარტიაც ლენინგრადელებმა მოიგეს — 15:12. მეოთხე პარტია ჩვენი ფრენბურთელებისთვის იღბლიანად დაიწყო. როცა ანგარიში 13:8 გახდა, მათს გამარჯვებაში ეჭვი არავის ეპარებოდა. მაგრამ მასპინძელთა რამდენიმე უხეში შეცდომის შემდეგ ლენინგრადელებმა თამაშში გარდატეხა შეიტანეს და გაიმარჯვეს — 17:15. ამრიგად, თბილისელები დამარცხდნენ — 1:3.

სად უნდა ვეძიოთ ჩვენების მარცხის მიზეზი? პირველ ყოვლისა, მოთამაშეთა უვარ ტექნიკურ მომზადებაში. ძალზე ცუდად სრულდებოდა როგორც პირველი, ისე მეორე გადაცემა, უზუსტოდ ხორციელდებოდა ბლოკირება და, რაც მთავარია, ოდნავადაც არ იგრძნობოდა სათამაშო დისციპლინა.

შეუძლიათ თუ არა ჩვენს ბიჭებს ფინალში გასვლა? დიახ, შეუძლიათ! ოღონდ საამისოდ საჭიროა გუნდში მკვეთრად იმატოს ურთიერთპატივისცემის გრძნობამ და ყოველივე დაექვემდებაროს სათამაშო დისციპლინას. დარჩენილ სამ თამაშში თბილისის „ბურევესტნიკმა" მაქსიმალური მიზანსწრაფვა უნდა გამოიჩინოს.

**ლ. ფალავანდიშვილი,**
სპორტის დამსახურებული ოსტატი.

# საინტერესო საბუთები

## ტანვარჯიშული საზოგადოება „სოკოლის"

## დაარსების შესახებ ქუთაისში

ამ ბოლო ხანებში აქტუალური კვლევის საგნად იქცა ქუთაისში ტანვარჯიშული საზოგადოება „სოკოლის" შექმნის, მისი არსებობის ხანგრძლიობისა და ხელმძღვანელის ვინაობის საკითხი. ამასთან დაკავშირებით, თავს ნებას ვაძლევთ (თუმცა მოგვიანებით) ჩვენც გამოვთქვათ ზოგიერთი მოსაზრება.

როგორც გაზეთ „ფონის" ერთ-ერთი კორესპონდენცია იუწყება, ქუთაისში ამ საზოგადოების დაარსების საკითხი დაისვა ჯერ კიდევ 1909 წლის 20-23 ოქტომბერს, თბილისის გიმნაზიების მოსწავლე „სოკოლების" მიერ ჩატარებული ექსკურსიის („მოფრენის") დროს. წერილი ბრალდებად უყენებს თბილისის I გიმნაზიის ისტორიის მასწავლებელს პ. ზაჩინიაევს, რომ ამ უკანასკნელმა „მოფრენის" დროს (ექსკურსია დაემთხვა იმპერატორის ტახტზე ასვლის დღეს — 21 ოქტომბერს) ქუთაისის საშუალო სასწავლებლების მოსწავლეებს პირდაპირ მოუწოდა თბილისელი გიმნაზიელების მსგავსად მათაც დაეარსებინათ ტანვარჯიშული საზოგადოება; ლექციის დამთავრების შემდეგ მოსწავლეებისთვის ასეთივე წინადადებით მიუმართავს თვით სასწავლო ოლქის მზრუნველს რუდოლფს. წერილის ავტორის აზრით, მთავარი დანაშაული ის იყო, რომ „გიმნასტიკა იმგვარი, რომელსაც დღეს გვაწვდიან პედაგოგები, ძალიან მავნებელია, რადგანაც იმის მიზანია კადეტთა კორპუსად გარდაქმნას გიმნაზია".

აღსანიშნავია, რომ ამ „მოფრენის" დაწვრილებით ანგარიშში, რომელიც 1910 წელს გამოქვეყნდა, ასეთი პირდაპირი მოწოდება ტანვარჯიშული საზოგადოების დაარსების შესახებ აღარ ჩანს. უნდა ვიფიქროთ, რომ პრესაში ატეხილი ხმაურის შემდეგ ანგარიშის შემდგენლები — თბილისის ვაჟთა I გიმნაზიის დირექტორი გამყრელიძე და თვით ზაჩინიაევი იძულებული გახდნენ ამ გამოსვლებისთვის შესაფერი რედაქცია გაეკეთებინათ. თუმცა თბილისის რეალური სასწავლებლის VII კლასის მოსწავლის პ. შახალოვის გამოსამშვიდობებელ სიტყვაში მაინც შემორჩენილა შეძახილი — „მალე გვეწვიეთ თბილისში... დეე აღსრულდეს ჩვენი ძვირფასი მზრუნველის სურვილი, მოფრინდით სოკოლებად".

გაზეთ „ფონის" ზემოაღნიშნული კორესპონდენცია 1909 წლის 1 ნოემბერს გამოქვეყნდა. წერილის ტონის მიხედვით, იმ დროისთვის საზოგადოება ჯერ კიდევ არ უნდა ყოფილიყო შექმნილი, მაგრამ 1910 წლის 27 იანვრისთვის უკვე დაარსებულა. ამ უკანასკნელი მოსაზრების სასარგებლოდ ლაპარაკობს თვით „სოკოლის" საბჭოს მიერ სწორედ 1910 წლის 27 იანვარს გაცემული ორი უდავო საბუთი (ქაღალდებს აქვს შტამპი: „ქუთაისის ტანვარჯიშული საზოგადოება „სოკოლის" საბჭო... №... ქ. ქუთაისი").

პირველი საბუთით რომელსაც ნომრად უზის „64", ქუთაისის ვაჟთა გიმნაზიის დირექტორს გლუშაკოვს სთხოვენ დაესწროს პარაკლისს საზოგადოების წევრთა ტანვარჯიშული მეცადინეობის დაწყების წინ და ექიმ ხუნდაძის ლექციას. ეს ლექცია, რომელიც ქუთაისის რეალური სასწავლებლის შენობაში უნდა შემდგარიყო 31 იანვარს, დღის 12 საათზე ეძღვნებოდა ტანვარჯიშის როლს საერთოდ და „სოკოლური" ტანვარჯიშის მნიშვნელობას კერძოდ. თარიღი „31 იანვარი" გადაუხაზავთ და ნაცვლად „7 თებერვალი" ჩაუწერიათ.

მიმართვას ხელს აწერს „ქუთაისის ტანვარჯიშული საზოგადოება „სოკოლის" საბჭო". ამავე რიცხვით დათარიღებული მეორე საბუთისთვის ნომრად ჯერ „144" დაუსვამთ, შემდეგ „146", ბოლოს ორივე გადაუხაზავთ და ნაცვლად წითელი მელნით ჩაუწერიათ „147". საბჭო სთხოვს იმავე გლუშაკოვს გიმნაზიის დანარჩენ პერსონალსაც აუწყოს პარაკლისისა და ლექციის შესახებ.

ამ ორი საბუთის ნომრები და მათი ხშირი გადაკეთება მიუთითებს, რომ მსგავსი ქაღალდები გაეგზავნა მრავალ პირსა და დაწესებულებას და რომ საქმის ორგანიზაციული მხარე საკმაოდ რთული იყო. ამავე მიზეზით უნდა გამხდარიყო საჭირო ერთხელ დადგენილი თარიღის შეცვლაც.

ამრიგად, ქუთაისის ტანვარჯიშული საზოგადოება „სოკოლი" და მისი საბჭო უნდა შექმნილიყო 1909 წლის ბოლო თვეებში (ნოემბერი, დეკემბერი), ან 1910 წლის იანვრის პირველ ნახევარში მაინც. წინააღმდეგ შემთხვევაში, საბჭო 27 იანვრისთვის ვერ მოასწრებდა შტამპის დამზადებას, სავარჯიშო ბაზის გამონახვასა და მოწყობას, ექიმ ხუნდაძესთან შეთანხმებას და სხვა მთელი რიგი რთული საკითხების გადაჭრას.

ამდენად, გაზეთ „დროების" 1910 წლის 31 იანვრის „სურათებიანი დამატების" ცნობა, რომ „სოკოლების" საზოგადოება ამას წინათ ქუთაისშიაც დაარსდა" — სავსებით შეესაბამება საქმის ვითარებას და უეჭველად სწორია.

მაშასადამე, სანდო არაა ჟურნალ „შევარდენის" (ქუთაისი) დაუსაბუთებელი ცნობა, რომ „სოკოლი" ქუთაისში 1912 წელს შეიქმნა. ეს კარგად დასტურდება ზემოხსენებული ექიმის ე. ხუნდაძის წიგნითაც: **«Значение телесных упражнений в деле духовнаго и физическаго воспитания. Лекция читанная на открытий деятельности общества «сокол» в гор. Кутаисе 7-го февраля 1910 года»**. ქუთაისი, 1910 წელი.

ამრიგად, უდავოა, რომ „სოკოლის" საქმიანობას (რაშიც ძირითადად ტანვარჯიშული მეცადინეობების დაწყება იგულისხმება) დასაბამი მისცემია 1910 წლის 7 თებერვალს. ამ საკითხთან დაკავშირებით უნდა გავარჩიოთ სამი მომენტი:

1. ქუთაისში ტანვარჯიშული საზოგადოება „სოკოლის" დაარსების შესახებ საკითხი დაისვა 1909 წლის ოქტომბრის „მოფრენზე".

2. ამ პერიოდსა (უფრო ზუსტად 1909 წლის 1 ნოემბერსა) და 1910 წლის 27 იანვარს შორის უნდა შემდგარიყო „დამფუძნებელი კრება", რომელზეც დაარსდა საზოგადოება, შეიქმნა მისი საბჭო, დამზადდა შტამპი, ალბათ, ბეჭედიც და ა. შ.

3. 1910 წლის 7 თებერვალს, სათანადო წინასწარი სამზადისის ჩატარების შემდეგ დასაწყისი მიეცა საზოგადოების წევრთა ტანვარჯიშულ მეცადინეობას „სოკოლების" სისტემის მიხედვით.

ამ სამიდან ბოლო ორი მომენტი უთუოდ უნდა გამოვყოთ ერთიმეორისაგან, რათა „სოკოლის" წევრთა ტანვარჯიშული მეცადინეობის შეწყვეტა საზოგადოების დაშლად არ მივიჩნიოთ, როგორც ეს ნათქვამია ჟურნალ „შევარდენის" ერთ-ერთ წერილში.

აქედან გამომდინარე, ბუნებრივია, რომ ქუთაისის საზოგადოება 1914 წელს რუსეთის „სოკოლთა" ოფიციალურად გამოქვეყნებულ სიაში შეუტანიათ (კავშირში გაუერთიანებელი ორგანიზაციის სახით).

ქუთაისის „სოკოლი" მოხსენიებულია 1915 და 1916 წლებში „შევარდენში" გამოქვეყნებულ სხვა მასალებშიც. ამიტომ უნდა იყოს, რომ ი. გაბაშვილს, როგორც „შევარდენის" მასალებიდან ჩანს, სიკვდილამდე არ შეუწყვეტია ქუთაისის ტანვარჯიშული საზოგადოებისთვის ზრუნვა, კვლავ ფიქრობდა ერთხელ თუ რამდენჯერმე მიძინებული და მივიწყებული საქმის ხელახლა გამოცოცხლებას და „სოკოლის" საქმიანობის საბოლოო შეწყვეტაზე, ალბათ, სიტყვის გაგონებაც არ სურდა. 1919 წელს ივი შეეცადა ქუთაისში საზოგადოება „შევარდენი" დაეარსებინა, მაგრამ აღარ დასცალდა. ამდენად, ქუთაისის „სოკოლი" ფიქტიურად თუ ფაქტიურად ამ დრომდე არსებობდა. ასე უნდა ვივარაუდოთ, ვიდრე საქმიანობის ოფიციალური შეწყვეტის შესახებ რაიმე ცნობა არ გაგვაჩნია. მით უმეტეს, რომ გაბაშვილი „ქუთაისში ყოველთვის სათავეში უდგა შევარდნულ მოძრაობას. ის თავგანწირული მუშაკი იყო ამ სარბიელზე. შევარდენი მისთვის ყველაფერი იყო... მას არ აშინებდა ის, რომ ძალიან ხშირად ამ საქმეში სრულიად მარტო რჩებოდა. ის ფარხმალს მაინც არ ყრიდა და მტკიცედ განაგრძობდა სვლას დასახულ მიზნისკენ... დაწყებული 1910 წლიდან მან რამდენჯერმე გამართა შევარდნების საჯარო გამოსვლა" და ა. შ. (როგორც ეს აღნიშნულია გაბაშვილის შესახებ იმავე ჟურნალ „შევარდენში" გამოქვეყნებულ ნეკროლოგში).

ქუთაისის რეალურ სასწავლებელს ამ დროისთვის ნამდვილად ჰქონდა ვრცელი პლაცი და შეძენილი ჰქონდა ტანვარჯიშული იარაღები, რაც უთუოდ მაშინვე უნდა ყოფილიყო მოწყობილი სასწავლებლის შენობის ქვედა სართულზე, დიდ ოთახში. ამრიგად, რეალურ სასწავლებელში ყველა პირობა არსებობდა ამ საზოგადოების საქმიანობის დასაწყებად. იგი დაიწყო კიდეც და ხელმძღვანელობას სხვა ვერავინ გაუწევდა, თუ არა ამავე სასწავლებლის ტანვარჯიშის მასწავლებელი იასონ ბესარიონის ძე გაბაშვილი.

ამ უკანასკნელ მოსაზრებაში ეჭვის შეტანა მით უფრო არ შეიძლება, რომ იმ დროისთვის ქუთაისში მართლაც არ იყო სხვა სპეციალისტი, რომელიც ამ საქმის გაძღოლას შესძლებდა.

საკითხის გარკვევაში დამატებით შეაქვს სინათლე თბილისის „სოკოლის" გიმნაზიარხის ანტონ ლუკეშის წერილს ქუთაისის გიმნაზიის დირექტორისადმი (1910 წლის 8 ივლისი). წერილში ნათქვამია, რომ რეალური სასწავლებლის ტანვარჯიშის მასწავლებელი იასონ გაბაშვილი კონკურენციას ვერ გაუწევს მის მიერ რეკომენდებულ ჩეხ ტანვარჯიშის მასწავლებელს ბლაჟეკს, რომელსაც შეუძლია თავის თავზე აიღოს ხელმძღვანელობა ქუთაისის საზოგადოება „სოკოლისა".

წერილის ეს ადგილი აშკარად მიუთითებს, რომ ამ დროისთვის ქუთაისში ტანვარჯიშული საზოგადოება არსებობს, ხოლო ა. ლუკეში ცდილობს ამ საზოგადოების ხელმძღვანელობის სადავეები დაატოვებინოს ტანვარჯიშის ერთადერთ ადგილობრივ მასწავლებელს და მოაქციოს თავისი თანამემამულის — ბლაჟეკის ხელში, რომელიც მხოლოდ რეკომენდებულია და ჯერ არც კია ჩამოსული საქართველოში.

წერილი იმითაც არის საინტერესო, რომ ლუკეშის მხრიდან ეს არის ბლაჟეკის უტაქტო დაპირისპირება გაბაშვილის მიმართ და ამ უკანასკნელის ცოდნისა და უნარის უმართებულო უგულებელყოფის ცდა.

ყოველივე ამას არ შეიძლება არ მიეღწია ფართო საზოგადოების ყურამდე და არ დაემცირებინა ი. გაბაშვილის ავტორიტეტი, რის რეციდივსაც აშკარად აქვს ადგილი „შევარდენის" ზემოდასახელებულ ნომერში გამოქვეყნებულ წერილებშიც.

ტანვარჯიშის ცნობილი სპეციალისტის, თბილისის „სოკოლის" „შეუცვლელი" გიმნაზიარხის ა. ლუკეშის ასეთი დამოკიდებულება უთუოდ შეუშლიდა ხელს გაბაშვილის მუყაით და უანგარო საქმიანობას როგორც სკოლაში, ისე ქუთაისის ტანვარჯიშულ საზოგადოება „სოკოლში", მაშასადამე, ხელს შეუშლიდა იმ საქმეს, რომლის მოციქულიც ა. ლუკეში იყო საქართველოში. ახლა აშკარა ხდება, რომ ეს იყო მცდარი გზა, რომელმაც ზიანი მოიტანა. სწორედ ეს გარემოება უნდა ყოფილიყო ერთ-ერთი ძირითადი მიზეზი, რომ „სოკოლის" საზოგადოებებს საქართველოში ადგილობრივი მოსახლეობა ნაკლებ ნდობას უცხადებდა და ისინი მუდამ მცირერიცხოვანი იყო წევრთა შემადგენლობის მხრივ. ასე იყო თბილისში და ბათუმშიც, სადაც საზოგადოების გიმნაზიარხად ჩეხი ვიაჩესლავ ადოლფის ძე კოუბა მუშაობდა.

ბლაჟეკის ჩამოსვლას ქუთაისში, როგორც ჩანს, საზოგადოება „სოკოლისთვის" ბევრი არაფერი მოუტანია. ყოველ შემთხვევაში, ჯერჯერობით საამისო საბუთი არსად მოიპოვება.

ვფიქრობთ, შემდგომი კვლევა, რაც უთუოდ მოჰყვება საკითხისადმი ინტერესის ზრდას, მეტ სინათლეს მოჰფენს ქუთაისის ტანვარჯიშული საზოგადოება „სოკოლის" და მისი ხელმძღვანელის ი. გაბაშვილის საქმიანობას.

**ზ. შერაზადიშვილი,**
საქართველოს პედაგოგიკურ მეცნიერებათა კვლევითი ინსტიტუტის უფროსი მეცნიერი მუშაკი.

### ფიზკულტურული ქრონიკა

**ა ბ ა შ ა**

„კოლმეურნის" რაისაბჭოს ფრენბურთელთა ტურნირში 8 ფიზკულტურული კოლექტივი მონაწილეობდა. I ადგილი დაიკავა სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმის გუნდმა. აქვე ჩატარდა „განთიადის" რაისაბჭოს სპარტაკიადა, რომლის პროგრამაში შედიოდა შეჯიბრებები კალათბურთში, ფრენბურთში, ჰადრაკში, შაშსა და ტყვიის სროლაში. კარგი მომზადება გამოავლინეს საქსოვი ფაბრიკისა და მექანიკური ქარხნის ფიზკულტურელებმა.

**ი. თოფურია.**



საქართველო[...]
სპორტული გამაჯ[...]
ხალისიანად გაატ[...]
ნორჩმა მძლეოსნ[...]
თა განკარგულებ[...]
ბი, სადაც მათს [...]
ველოს საუკეთე[...]
დნენ. ბანაკში მ[...]



# ფეხბურთი 1966

მოსკოვი, 27 აგვისტო. სსრ კავშირის საფეხბურთო ჩემპიონატის მორიგ მატჩში აქ ერთმანეთს შეხვდნენ დედაქალაქის გუნდები — „სპარტაკი“ და ცსკა.

თამაში დამთავრდა არმიელთა გამარჯვებით — 4:2. ბურთები გაიტანეს: I ტაიმში — სეკერმა (ცსკა) და ამბარცუმიანმა, II ტაიმში — პოლიკარპოვმა, ვარგამ, კაზაკოვმა (სამივენი — ცსკა) და ოსიანინმა (11-მეტრიანი საჯარიმოდან).

## გათამაშების ცხრილი

### ძირითადი შემადგენლობანი

„ა“ კლასი I ჯგუფი

მდგომარეობა 28 აგვისტოსათვის

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „დინამო“ (კიევი) | 22 | 15 | 6 | 1 | 46—8 | 36 |
| ცსკა | 21 | 12 | 6 | 3 | 49—28 | 30 |
| „სპარტაკი“ (მოსკოვი) | 22 | 11 | 6 | 5 | 33—27 | 28 |
| „ტორპედო“ (მოსკოვი) | 23 | 10 | 7 | 6 | 36—24 | 27 |
| „პახტაკორი“ (ტაშკენტი) | 20 | 7 | 11 | 2 | 19—13 | 25 |
| ასკ (როსტოვი) | 21 | 12 | 1 | 8 | 33—33 | 25 |
| „დინამო“ (მოსკოვი) | 21 | 9 | 5 | 7 | 32—22 | 23 |
| „დინამო“ (თბილისი) | 21 | 7 | 7 | 7 | 23—21 | 21 |
| „კაირატი“ (ალმა-ათა) | 19 | 9 | 3 | 7 | 20—20 | 21 |
| „ზენიტი“ (ლენინგრადი) | 22 | 8 | 5 | 9 | 29—35 | 21 |
| „ნეფტიანიკი“ (ბაქო) | 21 | 7 | 6 | 8 | 25—18 | 20 |
| „დინამო“ (მინსკი) | 21 | 6 | 8 | 7 | 22—25 | 20 |
| „არარატი“ (ერევანი) | 22 | 6 | 7 | 9 | 16—29 | 19 |
| „ჩერნომორეცი“ (ოდესა) | 22 | 5 | 8 | 9 | 20—28 | 18 |
| „შახტიორი“ (დონეცკი) | 19 | 7 | 3 | 9 | 17—23 | 17 |
| „ტორპედო“ (ქუთაისი) | 21 | 6 | 4 | 11 | 28—39 | 16 |
| „კრ. სოვეტოვი“ (კუიბიშევი) | 21 | 3 | 9 | 9 | 15—29 | 15 |
| „ლოკომოტივი“ (მოსკოვი) | 20 | 4 | 2 | 14 | 15—32 | 10 |
| ასკ (ოდესა) | 21 | 1 | 6 | 14 | 11—35 | 8 |

## გათამაშების ცხრილი

„ბ“ კლასი IV ზონა

მდგომარეობა 28 აგვისტოსათვის

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „სპარტაკი“ (ორჯონიკიძე) | 26 | 16 | 6 | 4 | 52—24 | 38 |
| „ლერნაგორცი“ (კაფანი) | 26 | 14 | 6 | 6 | 37—22 | 34 |
| „მეტალურგი“ (რუსთავი) | 26 | 13 | 7 | 6 | 39—25 | 33 |
| „მაშინოსტროიტ.“ (პიატიგორ.) | 26 | 11 | 9 | 6 | 40—26 | 31 |
| „ცემენტი“ (ნოვოროსიისკი) | 25 | 13 | 5 | 7 | 25—18 | 31 |
| „სპარტაკი“ (კისლოვოდსკი) | 26 | 11 | 7 | 8 | 27—24 | 29 |
| „ალაზანი“ (გურჯაანი) | 26 | 12 | 4 | 10 | 31—24 | 28 |
| „კოლხიდა“ (ფოთი) | 26 | 10 | 8 | 8 | 28—22 | 28 |
| „მეშახტე“ (ტყიბული) | 26 | 10 | 7 | 9 | 44—27 | 27 |
| „დინამო“ (სოხუმი) | 26 | 10 | 7 | 9 | 35—31 | 27 |
| „უროჟაი“ (კრიმსკი) | 25 | 12 | 2 | 11 | 33—31 | 26 |
| „ლორი“ (კიროვაკანი) | 26 | 8 | 9 | 9 | 20—26 | 25 |
| „უროჟაი“ (მაიკოპი) | 25 | 9 | 5 | 11 | 40—30 | 23 |
| „ენგური“ (ზუგდიდი) | 26 | 9 | 5 | 12 | 31—32 | 23 |
| „დინამო“ (მახაჩყალა) | 26 | 6 | 10 | 11 | 27—35 | 22 |
| „დილა“ (გორი) | 26 | 8 | 6 | 12 | 22—33 | 22 |
| „არაქსი“ (ერევანი) | 26 | 7 | 5 | 14 | 19—38 | 19 |
| „სევანი“ (ოქტემბერიანი) | 26 | 6 | 6 | 14 | 30—44 | 18 |
| „უროჟაი“ (დერბენტი) | 26 | 5 | 5 | 16 | 27—66 | 15 |

## რესპუბლიკის თასზე

გაიმართა ნახევარფინალური მატჩები რესპუბლიკის თასზე.

● **„გურია“ (ლანჩხუთი) — ელმავალსაშენი ქარხანა (თბილისი) 6:1. მსაჯი უ. ფურცელაძე (თბილისი).**

თბილისელებმა სწრაფად დაიწყეს თამაში და უკვე პირველ წუთებზე ზედიზედ ორი სახიფათო მომენტი შექმნეს მეტოქის კართან, თუმცა ვერ გამოიყენეს ეს კარგი შესაძლებლობანი. 21-ე წუთზე „გურიის“ ერთ-ერთი იერიში გოლით დაამთავრა ჩხარტიშვილმა. მართალია, ეს ბურთი თბილისელებმა მალე გაქვითეს (ლომაძე), მაგრამ შემდგომში ინიციატივა მთლიანად მასპინძელთა მხარეს გადავიდა. ლანჩხუთელ ფეხბურთელთა დიდი უპირატესობა მათი დამაჯერებელი გამარჯვებით დამთავრდა.

● **„მერცხალი“ (მახარაძე) — „მეტალურგი“ (ზესტაფონი) 0:1. მსაჯი ო. ჯანგველაძე (თბილისი).**

მახარაძელებს კარგახანს ეპყრათ ხელთ ინიციატივა. 25-ე წუთზე გუნდის თავდამსხმელი სალუქვაძე პირისპირ აღმოჩნდა ზესტაფონელთა მეკარე გაბისკირიასთან და ამ უკანასკნელმა შეძლო ძალიან ძნელი ბურთის მოგერიება. „მერცხალს“ შემდგომშიც ჰქონდა ბურთის გატანის რამდენიმე რეალური შანსი, მაგრამ სტუმრების დაცვა და მეკარე მოწოდების სიმაღლეზე აღმოჩნდნენ. მატჩის ბედი გადაწყვიტა 71-ე წუთზე „მეტალურგის“ მარცხენა გარემარბის ფარცხავას მიერ გატანილმა ერთადერთმა გოლმა.

ამრიგად, რესპუბლიკური თასის ფინალში გავიდნენ ლანჩხუთის „გურია“ და ზესტაფონის „მეტალურგი“. მათი შეხვედრა შედგება თბილისის „დინამოს“ სტადიონზე 1 სექტემბერს.

## გათამაშება გრძელდება

ამ მიზნით, რომ მაქსიმალურად იქნას გამოყენებული საქართველოს კლიმატური პირობები და ჩვენს საფეხბურთო კოლექტივებში არ შეწყდეს სრულწლიური სასწავლო-საწვრთნელი მუშაობა, რესპუბლიკური სპორტკავშირის პრეზიდიუმმა განიხილა და დაამტკიცა საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის მიერ რესპუბლიკური ჩემპიონატის დებულებაში შეტანილი ცვლილებები.

საქართველოს ჩემპიონატის ფინალურ ჯგუფში შევიდნენ: **I ზონიდან** — „სინათლე“ (თბილისი), „მეტალურგი“ (ზესტაფონი), „მესხეთი“ (ახალციხე), „განთიადი“ (ბორჯომი), „ფეიქარი“ (წულუკიძე); **II ზონიდან** — „მერცხალი“ (მახარაძე), „გურია“ (ლანჩხუთი), „შუქურა“ (ქობულეთი), ფიზკულტურის ინსტიტუტი (თბილისი), „კოლხეთი“ (ცხაკაია).

მომდევნო ადგილების გამოსარკვევად 14 გუნდი ერთმანეთში ითამაშებს ერთ წრედ.

დასკვნითი გათამაშება დაიწყება 4 სექტემბერს. მოგვყავს პირველი დღის შეხვედრათა კალენდარი:

### I-X ადგილები

„სინათლე“ (თბილისი) — „კოლხეთი“ (ცხაკაია), „მერცხალი“ (მახარაძე) — „ფეიქარი“ (წულუკიძე), „მეტალურგი“ (ზესტაფონი) — ფიზკულტურის ინსტიტუტი (თბილისი), „გურია“ (ლანჩხუთი) — „განთიადი“ (ბორჯომი), „მესხეთი“ (ახალციხე) — „შუქურა“ (ქობულეთი).

### XI-XXIV ადგილები

„კოლმეურნე“ (წალენჯიხა) — „დინამო“ I (თბილისი), „ოდიში“ (ზუგდიდი) — „ირისთონი“ (ცხინვალი), „მეშახტე“ (ტყვარჩელი) — ასკ (თბილისი), „ბახმარო“ (ჩოხატაური) — „ლოკომოტივი“ (სამტრედია), „მალაროელი“ (ჭიათურა) — „ქართლი“ (გორის რაიონი), „ისანი“ (თბილისი) — „ტორპედო“ (გაგრა), „დინამო“ (ქუთაისი) — „ნარინჯი“ (ბათუმი).

## ნ. ალექსანდრია — 6,5
## ც. კახაბრიშვილი — 6

კიევი, 26 აგვისტო. (ფოტოდეპეშით, ჩვენი სპეც. კორ.). მოჭადრაკე ქალთა აქ მიმდინარე საკავშირო ჩემპიონატის ნახევარფინალური ტურნირის VIII ტურში ალექსანდრიამ დაამარცხა ო. რუბცოვა. ლიდერთა მდგომარეობა სადღეისოდ ასეთია: ალექსანდრიას 6,5 ქულა აქვს, კახაბრიშვილს — 6, ვოიცეკსა და გოლოვეის — 5,5-5,5 ტიტარენკოს — 5, ჩაიკოვსკაიასა და ო. რუბცოვას — 4.5-4,5. შეჯიბრების დამთავრებამდე 5 ტური დარჩა.

## უცხოეთის ამბები

◆ პარიზი, 26 აგვისტო. ლა ბოლის ყურეში გრძელდება მსოფლიოს არაოფიციალური ჩემპიონატი „ფინის“ კლასის საიალქნო სპორტში. „ოქროს თასისთვის“ იბრძვიან სსრ კავშირის, აშშ-ის, ინგლისის, ჰოლანდიის, შვეციის, ჩეხოსლოვაკიისა და სხვა ქვეყნების გუნდები. პირველი სამი რეგატის შემდეგ დაწინაურდა ბრაზილიელი ბრიუდერი — 29 ქულა. მომდევნო ადგილებზე არიან: კუჰვაიდე (გფრ) — 33,7, მანკინი (სსრ კავშირი) — 42, სტრაუბინგერი (გფრ) — 45,7, კოზლოვი (სსრ კავშირი) — 66.

● **პოლიანიცა-ზდრუი** (პოლონეთი), **26 აგვისტო.** აქ მიმდინარე საერთაშორისო საჭადრაკო ტურნირის დამთავრებამდე დარჩა 1 ტური, მაგრამ გამარჯვებული უკვე ცნობილია: ესაა მსოფლიოს ექს-ჩემპიონი ვ. სმისლოვი. 14 ტურის შემდეგ მას 10,5 ქულა აქვს. II ადგილზეა უნგრელი ლენდიელი (9 ქულა), ხოლო III — იუგოსლაველი დამიანოვიჩი — 8 ქულა.

● **ამსტერდამი,** 26 აგვისტო. საზეიმოდ მორთულ საწყლოსნო არხ „ბოსბაანზე“ დღეს დაიწყო ევროპის ქალთა ჩემპიონატი აკადემიურ ნიჩბოსნობაში. შეჯიბრებაში მონაწილეობენ ჰოლანდიის, გდრ-ის, გფრ-ის, ბულგარეთის, დანიის, საფრანგეთის, ინგლისის, უნგრეთის, იტალიის, რუმინეთის, შვეციის, ჩეხოსლოვაკიისა და სსრ კავშირის სპორტსმენები.

...განათლების სამინისტროს ...ელ ბანაკში შინაარსიანად, ...აფხული ჩვენი რესპუბლიკის ...მოცურავეებმა. სპორტსმენ...ი ბათუმის საუკეთესო ბაზე...ბასა და ვარჯიშებს საქართ...რთნელები ხელმძღვანელობ...ყურადღება ეთმობოდა ბავშვების ჯანმრთელობის განმტკიცებას და მათი სპორტული ტექნიკის სრულყოფას. გაიმართა საბანაკო პირველობანი სპორტის სხვადასხვა სახეობაში.

ს უ რ ა თ ე ბ ზ ე: მარცხნივ — საქართველოს ჩემპიონს 400 მეტრზე რბენაში მ. ჯინჯიხაშვილს ფეხის მოძრაობას უსწორებს ე. ხიხიკოვა; მარჯვნივ — მე-3 და მე-4 რაზმების ხელბურთელთა შეხვედრის მომენტი.

ფოტო ა. ედიგაროვისა.



## ბუდაპეშტი მოლოდინშია

რას ელის ასე მოუთმენლად ყვავილებისა და პარკების ქალაქი, ცისფერი დუნაის, ულამაზესი ხიდების, ისტორიული ძეგლების, დიდებული სტადიონებისა და სპორტული დარბაზების ქალაქი ბუდაპეშტი? ამ შეკითხვის პასუხს უნგრეთის დედაქალაქის ყოველ ქუჩაზე, ყოველ ვიტრინაში წააწყდებით. უზარმაზარი პლაკატებიდან „კონტურული“ ურის მტყორცნელი შემოგცქერით (ამბობენ, მისი პირველსახე უნგრელ სპორტის მოყვარულთა კერპი, მსოფლიო რეკორდსმენი დ. ჟივოცკი უნდა იყოსო). წარწერა კი იუწყება: „ევროპის მძლეოსანთა VIII ჩემპიონატი“.

საინტერესო დამთხვევაა: ევროპის მძლეოსანთა ჩემპიონატების ჩატარების იდეა პირველად 40 წლის წინათ გაჩნდა და მისი ავტორი სწორედ უნგრეთის მძლეოსანთა ასოციაციის თავმჯდომარე ს. სტანკოვიჩი იყო. 8 წლის შემდეგ იგივე სტანკოვიჩმა მისცა სტარტი კონტინენტის მძლეოსანთა პირველ ასპარეზობას ტურინში. და აი, VIII ჩემპიონატი „მამის“ სამშობლოში ტარდება.

ვინც უნგრეთი იცის, ის იოლად მიხვდება, როგორ ემაყება ბუდაპეშტს ესოდენ დიდი პატივი, რა გულისყურითა და ჩაძიებით ეკიდებიან ჩემპიონატის მასპინძლები მომავალი ასპარეზობისთვის სამზადისს.

უნგრელები სპორტული ერია. უნგრეთში 10 მილიონი მცხოვრებია და მათგან თითქმის მილიონი სხვადასხვა სპორტული საზოგადოებისა და სექციის წევრია. ბოლო ხუთ ოლიმპიადაში აქაურმა სპორტსმენებმა ოქროს 51, ვერცხლის 41 და ბრინჯაოს 48 მედალი მოიპოვეს. მათ კიდევ უფრო ისახელეს თავი მსოფლიო ჩემპიონატებში — 20 წლის მანძილზე ოქროს 87, ვერცხლის 98 და ბრინჯაოს 88 პრიზის მფლობელნი გახდნენ. „კეთილშობილ“ ლითონთა ასეთი საგანძური ყოველი ქვეყნისთვის საპატიოა.

სხვათა შორის, ჩემპიონატის მასპინძლები ამჯერადაც ბევრ სახეობაში იბრძოლებენ უმაღლესი ტიტულისთვის.

უნგრეთის დედაქალაქში ყოველმხრივ მომზადებული ხვდება სტუმრებს. ბუდაპეშტიდან 30 კილომეტრის დაშორებით სპორტსმენების განკარგულებაში იქნება „მძლეოსნური სოფელი“ გედელე, ადრე ერთადერთი „უნივერსიტეტის სოფელი“ უნგრეთში. აქ განლაგებული იყო სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტი. ახლა ინსტიტუტის 3 ხუთსართულიანი შენობა მძლეოსნებს დაეთმობათ. ეს შენობები 1.200 კაცს დაიტევს ირგვლივ 7 ჰექტარზეა გადაჭიმული საწვრთნელი მოედნები, სარბენი ბილიკები. ერთი სიტყვით, სტუმრებს ყოველგვარი პირობა შეუქმნეს ჩემპიონატის დროს ვარჯიშისა და საუკეთესო სპორტული ფორმის შენარჩუნებისთვის, ოთახები კეთილმოწყობილია. მასპინძლებმა ფინური მშრალორთქლიანი აბანო „საუნაც“ კი მოაწყვეს.

სულ მალე მზად იქნება „ნეპშტადიონი“, სადაც უნდა ჩატარდეს ასპარეზობა ჩემპიონატის პროგრამით გათვალისწინებულ ყველა სახეობაში, გარდა სპორტული სიარულისა და მარათონული რბენისა.

მე ვკითხე ჩემპიონატის მოსამზადებელი კომიტეტის სამდივნოს ხელმძღვანელს დ. ვინცეს — რა ტექნიკური სიახლით შეხვდება სტადიონი ასპარეზობის მონაწილეებს?

— სიახლე არც ისე ბევრია, — მიპასუხა ვინცემ. — ჩვენ, პირველ ყოვლისა, გვინდა სპორტსმენებს მშვიდად ასპარეზობის საშუალება შევუქმნათ, ამიტომ ხმოვანი ინფორმაცია, როგორც კი შეიძლებოდა, შევამცირეთ. თითქმის ყველაფერი, რისი გამოცხადებაც კი აუცილებელია, საგანგებო ტაბლოზე აღინიშნება. ხტომის დროს მეტრები და სანტიმეტრები განისაზღვრება მხოლოდ ოპტიკური ხელსაწყოებით და არა ადამიანდელი საზომი თამასით. გავაძლიერეთ სტადიონის განათებაც.

ჩემპიონატის პირველი „რეკორდი“ უკვე დამყარდა — ამ ასპარეზობაში მონაწილეობას მიიღებს ყველა ქვეყანა, მოყვარულ მძლეოსანთა საერთაშორისო ფედერაციის ევროპის კომიტეტის ყველა წევრი (სულ—31).

ბუდაპეშტში ჩამოვა 720-ზე მეტი ჟურნალისტი. ეს რიცხვიც სარეკორდოა. პრესას დაეთმობა პოლიტექნიკური ინსტიტუტის კოლეჯი ბუდაში. სასტუმრო „შპორტი“ და ბრწყინვალე პრეს-ცენტრი სტადიონზე. კორესპონდენტებს მოემსახურება საერთაშორისო კავშირგაბმულობის 30 ტელეფონი და 30 ტელეტაიპი. 23 ქვეყანაში მოეწყობა ტელეგადაცემები „ინტერვიზიისა“ და „ევროვიზიის“ არხებით.

კიდევ ერთი, ბოლო რეკორდი: ასპარეზობას ნახავს 12 ათასი ტურისტი-გულშემატკივარი. ამ დღეებში ქალაქის ყველა სასტუმრო მხოლოდ ჩემპიონატის განკარგულებაში იქნება.

30 აგვისტოს 15 საათსა და 30 წუთზე (ადგილობრივი დროით) სახალხო სტადიონზე აჟღერდება ჩემპიონატის სიგნალი, რომელიც ბელა ვარვინეცმა დაწერა ლისტის მეორე უნგრული რაფსოდიის მოტივებზე. ამ წუთიდან აიღებს სტარტს ევროპის VIII ჩემპიონატი მძლეოსნობაში.

მ. პოპოვი.

### გუნდები და სპორტსმენები

**ბუდაპეშტი, 25 აგვისტო.** 31 ქვეყნის 634 ვაჟი და 234 ქალი დაიწყებს ბრძოლას ევროპის ჩემპიონატზე მძლეოსნობაში, რომელიც აქ დაიწყება 30 აგვისტოს. ამის შესახებ ჩემპიონატის ორგანიზატორებმა გამოაცხადეს, როცა საბოლოოდ დადგინდა მონაწილე გუნდები.

ბუდაპეშტში ყველაზე მრავალრიცხოვანი გუნდები ჩამოჰყავთ სსრ კავშირსა (82 სპორტსმენი) და გფრ-ს (80), რიცხვით მესამე იქნებიან მასპინძლები — 77.

სამაგიეროდ, გიბრალტარის, მალტისა და პორტუგალიის „გუნდები“ თითო სპორტსმენით იქნებიან წარმოდგენილი.

საქრელი ფოთოსურათი

ჩემპიონატის




ე ქ ო

# 8 გათამაშების ჯამში

ბელგრადის გაზეთმა „ფუტბოლმა" დაბეჭდა საინტერესო ცხრილი, რომელშიც შეჯამებულია მსოფლიოს ყველა 8 ჩემპიონატის შედეგი.

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბრაზილია | 32 | 20 | 5 | 7 | 84—42 | 45 |
| გფრ | 28 | 16 | 5 | 7 | 68—45 | 37 |
| უნგრეთი | 23 | 13 | 2 | 8 | 69—33 | 28 |
| ურუგვაი | 20 | 12 | 3 | 5 | 52—28 | 27 |
| იტალია | 20 | 12 | 2 | 6 | 37—21 | 26 |
| ინგლისი | 20 | 8 | 6 | 6 | 30—24 | 22 |
| იუგოსლავია | 19 | 9 | 3 | 7 | 33—27 | 21 |
| ჩეხოსლოვაკია | 19 | 8 | 3 | 8 | 30—29 | 19 |
| სსრ კავშირი | 15 | 8 | 2 | 5 | 24—19 | 18 |
| არგენტინა | 16 | 8 | 2 | 6 | 31—27 | 18 |
| შვეცია | 16 | 8 | 2 | 6 | 33—35 | 18 |
| საფრანგეთი | 17 | 7 | 1 | 9 | 38—33 | 15 |
| ჩილი | 15 | 7 | 1 | 7 | 22—22 | 15 |
| ესპანეთი | 15 | 6 | 2 | 7 | 20—23 | 14 |
| ავსტრია | 11 | 6 | 1 | 4 | 24—23 | 13 |
| შვეიცარია | 18 | 5 | 2 | 11 | 28—44 | 12 |
| პორტუგალია | 6 | 5 | 0 | 1 | 17—8 | 10 |
| პარაგვაი | 7 | 2 | 2 | 3 | 12—19 | 6 |
| აშშ | 7 | 3 | 0 | 4 | 12—21 | 6 |
| უელსი | 5 | 1 | 3 | 1 | 4—4 | 5 |
| რუმინეთი | 5 | 2 | 1 | 2 | 9—11 | 5 |
| ჩრდ. ირლანდია | 5 | 2 | 1 | 2 | 6—10 | 5 |
| მექსიკა | 17 | 1 | 3 | 13 | 13—46 | 5 |
| კსდრ | 4 | 1 | 1 | 2 | 5—9 | 3 |
| კუბა | 3 | 1 | 1 | 1 | 5—12 | 3 |
| თურქეთი | 3 | 1 | 0 | 2 | 10—11 | 2 |
| კოლუმბია | 3 | 0 | 1 | 2 | 5—11 | 1 |
| შოტლანდია | 5 | 0 | 1 | 4 | 4—14 | 1 |
| ბელგია | 6 | 0 | 1 | 5 | 8—20 | 1 |
| ბულგარეთი | 6 | 0 | 1 | 5 | 2—15 | 1 |
| ნორვეგია | 1 | 0 | 0 | 1 | 0—1 | 0 |
| პოლონეთი | 1 | 0 | 0 | 1 | 5—6 | 0 |
| ეგვიპტე | 1 | 0 | 0 | 1 | 2—4 | 0 |
| პერუ | 2 | 0 | 0 | 2 | 1—4 | 0 |
| ჰოლანდია | 2 | 0 | 0 | 2 | 2—6 | 0 |
| ბოლივია | 3 | 0 | 0 | 3 | 6—16 | 0 |

## უძლიერესნი...

ფეხბურთელთა მსოფლიო ჩემპიონატის დამთავრებისთანავე, ჩვეულებისამებრ, განსაზღვრავენ ტურნირის საუკეთესო მოთამაშეს. უძლიერესის გამოვლენაში მონაწილეობენ ცნობილი სპეციალისტები, მწვრთნელები და ჟურნალისტები. ხმების უმრავლესობით ირკვევა ტურნირის უძლიერესი ფეხბურთელის ვინაობა და მას სპეციალურ ჯილდოსაც გადასცემენ.

მსოფლიოს VIII ჩემპიონატში ეს უმაღლესი ჯილდო ინგლისელ ბ. ჩარლტონთან, გერმანელ ბეკენბაუერთან, პორტუგალიელ ეუსებიოსთან და სხვებთან ბრძოლაში ინგლისის ეროვნული ნაკრების კაპიტანმა ბობი მურმა მოიპოვა.

ადრე ვის ჰქონდა ბედნიერება ეტარებინა მსოფლიოს უძლიერესი ფეხბურთელის სახელი? ეს ჯილდო ბრაზილიელ მოთამაშეებს გადაეცათ ხუთჯერ, ჩეხოსლოვაკიელებს — ორჯერ და ურუგვაელ, იტალიელ, უნგრელ, ინგლისელ და იუგოსლაველ ფეხბურთელებს — თითოჯერ.

კი მაგრამ, გაიოცებს მკითხველი, საიდან გაჩნდა უმაღლესი ჯილდოს ამდენი მფლობელი, როცა მსოფლიო ჩემპიონატი სულ რვაჯერ ჩატარდა? საქმე ისაა, რომ რამდენსამე პირველობაში უძლიერესად ერთბაშად 2 ფეხბურთელი იქნა აღიარებული, ხოლო 1962 წელს ჩილის ჩემპიონატში — 3.

ქვემოთ მოგვყავს მსოფლიოს უძლიერეს ფეხბურთელთა სია:

**1930 წ.** ანდრადე (ურუგვაი).

**1934 წ.** პლანიჩკა (ჩეხოსლოვაკია) და მეაცა (იტალია).

**1938 წ.** ლეონიდასი (ბრაზილია).

**1950 წ.** ადემირი (ბრაზილია).

**1954 წ.** კოჩიში (უნგრეთი) და მეტიუზი (ინგლისი).

**1958 წ.** დიდი და პელე (ორივენი — ბრაზილია).

**1962 წ.** მასოპუსტი (ჩეხოსლოვაკია), შეკულარაცი (იუგოსლავია) და გარინჩა (ბრაზილია).

**1966 წ.** მური (ინგლისი).

## „ბომბარდირებო, მიბაძეთ ეუსებიოს!"

*ამ სიტყვებით მიმართავს იუგოსლაველი ჟურნალისტი ჟ. პოპოვიჩი ყველას, ვისაც კი გოლის გატანასთან რაიმე კავშირი აქვს. თავისი კალმით პოპოვიჩი მსოფლიოს ბოლო სამ ჩემპიონატს ემსახურებოდა, ამიტომ მას პატივს სცემენ, როგორც მცოდნე და გამოცდილ ჟურნალისტს. იუგოსლაველი აღტაცებულია პორტუგალიის ნაკრების წევრის ეუსებიოს თამაშის მანერით და იმ უნაკლო ალღოთი, რაც მოზამბიკელ ზანგს მეტოქის კარის მიმართ გააჩნია.*

*„ჩვენს საუკეთესო ფეხბურთელებს ეუსებიოსგან ბევრი რამის სწავლა შეუძლიათ. მისი დრიბლინგი და ფინტები ძალიან ორიგინალური და თავისებურია, მაგრამ მოზამბიკელის ძალა მაინც გოლის გატანისადმი უჩვეულო ალღოშია. ამ მხრივ იგი მსოფლიოში ყველას სჯობს. 1958 წლიდან მოყოლებული, არც ერთ ჩემპიონატში არ მინახავს მეტოქის კარის მიმართ ასე გამიზნული ფეხბურთელი".*

*შემდეგ ჟ. პოპოვიჩი პორტუგალიელ სნაიპერს ადარებს ფრანგ ფონტენს, რომელმაც 1958 წლის მსოფლიო ჩემპიონატში გოლების გატანის აბსოლუტური რეკორდი დაამყარა და აცხადებს, რომ ფონტენი თავის 13 ბურთს სანახევროდ რ. კოპას უნდა უმადლოდეს. ჟურნალისტის აზრით, „ეუსებიოს ამ ჩემპიონატში კოპა რომ ჰყოლოდა გვერდით, ვინ იცის, რა დღე დაადგებოდა ფონტენის რეკორდს".*

**ბრაზილიის ნაკრები — ასპლოუზუმი ჩემპიონი**

● **პროფესიონალთა შორის უძლიერესნი**

**8 ჩემპიონატი და 13 ლაურეატი**

● **მოზამბიკელი ზანგი — მეკარეების რისხვა**

## კონტინენტის საუკეთესო ათეული

**პარიზი.** ევროპის პროფესიონალ მოკრივეთა ასოციაციამ გამოაცხადა კონტინენტის უძლიერესი მოკრივეების სია. პირველი უმჩატესი — ბურინი (იტალია), მეორე უმჩატესი — გალი (იტალია), მჩატე — დესმარეტი (საფრანგეთი), ქვემსუბუქი — ლავრე (ესპანეთი), მსუბუქი — ტავანი (საფრანგეთი), პირველი ქვესაშუალო — ლოპოპოლო (იტალია) და ჟოსელინი (საფრანგეთი), ქვესაშუალო — ლევეკი (საფრანგეთი), საშუალო — ბენვენუტი (იტალია), ქვემძიმე — დელ პაპა (იტალია), მძიმე — მილდენბერგერი (გფრ).

ყველა დასახელებული მოკრივე ევროპის ჩემპიონია, ხოლო პირველი ქვესაშუალო წონის წარმომადგენლები ლოპოპოლო და ჟოსელინი ამ ტიტულის პრეტენდენტები არიან.

**ფოტო თვალით**

**ბარსელონაში** ესპანეთის მოკრივეთა ჩემპიონატის ერთ-ერთი შეხვედრის დროს არბიტრი პეირო ნოკაუტში აღმოჩნდა. გონგის ხმაზე კ. ტანო და დე პაბლო ისეთი გაშმაგებით ეკვეთნენ ერთმანეთს, რომ საჭირო გახდა არბიტრის ჩარევა. აი, სწორედ, ამ დროს იწვნია პეირომ ძლიერი დარტყმა. მეტოქეებმა ბრძოლა დროებით შეწყვიტეს და მსაჯის გონზე მოსვლას დაელოდნენ. შემდეგ კი იგი... რინგიდან გაიტანეს.





ეს სურათი გადაღებულია მოტოკროსში ინგლისის საგრაფოების ჩემპიონატის დროს. კოკისპირულმა წვიმამ ტრასა ისე ატალახა, რომ მისი გავლა თითქმის შეუძლებელი გახდა. აი, თქვენ ხედავთ, თუ რა დღეშია სპორტსმენი და მისი მანქანა ტრასის ერთ-ერთი ურთულესი მონაკვეთის გავლისას.

ფოტო კისტოუნის სააგენტოსი (ინგლისი).

**უცხოეთი, ჩვენი ქვეყანა... სპორტული ამბები**

▲ **სან-კარლოსი** (არგენტინა). აქ გაიმართა სამთო-მოთხილამურეთა საერთაშორისო შეჯიბრება გიგანტურ სლალომში. როგორც ვაჟებში, ისე ქალთა შორის გაიმარჯვეს ამერიკის შეერთებული შტატების წარმომადგენლებმა ჰიუეგამ და ელენმა.

▲ **ციურიხი.** მძლეოსნობაში ევროპის პირველობის წინ აქ ბოლო მატჩი გამართეს გფრ-ისა და შვეიცარიის ათლეტებმა. შეხვედრა გერმანელებმა მოიგეს — 145:67. აი, ზოგიერთი მაღალი შედეგი: 1.500 მ რბენა — ნორპოტი — 3.40,8, 10.000 მ — ფილიპი (ორივენი — გფრ) — 29.08,8, 4×100 მ ვაჟთა ესტაფეტა — გფრ — 39,9. გერმანელთა იმედი 800 მეტრზე რბენაში ბოგატსკი შეჯიბრებისას დაშავდა და ბუდაპეშტში სასპარეზოდ ვერ წავა.

▲ **ყაზანლიყი.** ბულგარელმა პარაშუტისტებმა ნ. ცეკოვამ, დ. ანდრეევამ და მ. მილენოვამ 2 მსოფლიო რეკორდი დაამყარეს. 600 მეტრიდან ჯგუფურ ხტომაში ისინი ცენტრიდან საშუალოდ 0,62 მეტრზე დაეშვნენ (ძველი რეკორდი იყო 2,05 მეტრი), 1.500 მეტრიდან კი — 0,83 მეტრზე (ძველი — 1,33 მ).

## კვლავ ძველი მეტოქეები

ევროპის ქვეყნების თასის გათამაშებას კრივში დიდი ხნის ისტორია არა აქვს. სსრ კავშირის ნაკრები ამ საპატიო ჯილდოს მფლობელია: თასის პირველი გათამაშების ფინალში მან დაამარცხა პოლონელი სპორტსმენები.

და აი, წლევანდელი ტურნირის ფინალში ერთმანეთს კვლავ ძველი მეტოქეები შეხვდებიან. კრივის ევროპულმა ფედერაციამ უკვე დანიშნა გადამწყვეტ ასპარეზობათა თარიღები. პირველი ფინალური მატჩი სსრ კავშირისა და პოლონეთის გუნდებს შორის გაიმართება ლოძში, 27 ნოემბერს, საპასუხო შეხვედრა კი — მოსკოვში, 18 დეკემბერს.

## ბოლო საკონტროლო მატჩები

**პრაღა, 25 აგვისტო.** ამ თვის ბოლოს ჩეხოსლოვაკიაში სტარტს აიღებს ფრენბურთელ ვაჟთა მსოფლიო პირველობა. ტურნირის მონაწილენი უკვე პრაღასა და სხვა ქალაქებში არიან, სადაც ადგილობრივ კლუბებთან ბოლო საკონტროლო შეხვედრებს ატარებენ.

სსრ კავშირის ნაკრებმა პირველი საწვრთნელი მატჩი ბრნოში გამართა. მისი მეტოქე იყო ადგილობრივი „ზიაში". საინტერესო ბრძოლა მოიგო სსრ კავშირის ნაკრებმა — 3:1.

## როგორ უნდა შეიქმნა გამარჯვების გარანტია მაგიდის ჩოგბურთში?

პეკინის გაზეთები აქვეყნებენ ცნობას ჩინელი და იაპონელი მაგიდის ჩოგბურთელების შეჯიბრების შესახებ. ჩინეთის გუნდის წევრმა ლი ცზინ-გუანმა სინხუას კორესპონდენტს განუცხადა:

„თუ სპორტსმენს სურს მოიგოს შეჯიბრება, იგი არც ერთი წუთით არ უნდა დასცილდეს მაო ძე-დუნის იდეებს. უნდა მოიქცეს იმის შესაბამისად, რასაც ლაპარაკობს თავმჯდომარე მაო. მხოლოდ ამგვარად შეიქმნის იგი გამარჯვების გარანტიას. პირიქით, თუ ერთ შეჯიბრებაში, ერთ პარტიაში ან რამდენიმე ბურთის მოწოდების დროსაც კი არ გამოიყენებს თავმჯდომარე მაოს იდეებს წარმმართველ ძალად, შეიძლება დამარცხება იწვნიოს".

„კროკოდილი", № 22. 1966 წ.

რედაქტორი მ. კაკაბაძე.

მთამსვლელობის რესპუბლიკური ფედერაცია, საქართველოს ალპური კლუბი და ბანაკი „აილამა" იუწყებიან ბანაკის სასწავლო ნაწილის გამგის, სპორტის ოსტატ

**გიორგი კალისტრატეს ძე ჯაფარიძის**

გარდაცვალებას და თანაგრძნობას უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

**თბილისის სპორტული კვირეული**

**საწყლოსნო - სამოტორო სპორტი.** თბილისის ზღვის წყალჯომარდობის სადგური. **28-31 აგვისტო.** დოსააფის საკავშირო პირად-გუნდური პირველობა. დღეს — საზეიმო გახსნა. დასაწყისი 12 ს.

**ფრენბურთი.** ქალაქის სპორტკავშირის მოედნები (პლეხანოვის პრ. № 115). **28-29 აგვისტო.** სსრ კავშირის პირველობა „ა" კლასის II ჯგუფის ვაჟთა გუნდებს შორის (I წრის დასკვნითი ტური). დასაწყისი 16 ს.

**ველოსპორტი** (ტრეკი). ველოსტადიონი (კამოს ქ. № 89). **28 აგვისტო.** საერთაშორისო შეხვედრა. საქართველო (ნაკრები) — რუმინეთი (ნაკრები). დასაწყისი 19 ს.

**ფეხბურთი.** „ლოკომოტივის" სტადიონი (ი. ჭავჭავაძის პრ. № 74). სსრ კავშირის პირველობა. „ა" კლასი (II ჯგუფი). „ლოკომოტივი" (თბილისი) — „დინამო" (კიროვაბადი). 30 აგვისტოს — სათადარიგო შემადგენლობანი, 31-ში — ძირითადი შემადგენლობანი. დასაწყისი 17 ს 30 წ.

ИНДЕКС 66448 საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის პოლიგრაფკომბინატი, თბილისი, ლენინის ქ. № 14.